ოქრო და ეკონომიკა

გ. ტაბატაძე – ასოც. პროფესორი,
ხ. გაჩეჩილაძე – ასოც. პროფესორი,
ხ. ვეფხვაძე – მთავარი სპეციალისტი
gordatab@mail.ru

ЗОЛОТО И ЭКОНОМИКА

Г. ТАБАТАДЗЕ, Х. ГАЧЕЧИЛАДЗЕ, Х. ВЕПХВАДЗЕ
gordatab@mail.ru

В работе рассматривается золото, как благородный металл, его особенные минералогические характеристики, что обусловливает широкое применение золота в разных средах экономики, особенно в ювелирном производстве как внастоящее время, так и в исторических аспектах. Детально охарактеризована роль золота в мировой валютной системе с 1867 г по сей день. Прианализированы запасы золота, его годовое производство как в мировом масштабе, так и по некоторным ведущим странам, динамика цень на этот металл и причина их роста.

Обострено внимание на вопросах добычи и переработки грузинского золота, его месторождений и запасов. Оценена его роль в экономике Грузии, как экспортной продукций в последные годи, а также рассмотрен вопрос выпуска золотых сертификатов и возможности формирования золотой биржи в стране.

В виде выводов высказано мнение о том, что для дальнейшего развития грузинского золота, необходимо детально изучить его потенциальные запасы и месторождения, повышения эффективности производства золота с учетом защиты окружающей среды и принципов устойчивого развития.

Ключевые слова: Золото; Валютная система; Месторождение; Запасы; добыча; цена; сертификаты.

ნაშრომში განხილულია ოქრო, როგორც იშვიათი და კეთილშობილი ლითონი, მისი განსაკუთრებული მინერალური მახასიათებლები, რაც განაპირობებს ოქროს ფართოდ გამოყენებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი საიუველირო წარმოებაში, როგორც ისტორიულ ასპექტებში, ისე ამჟამად, ხაზგასმულია ოქროს როლი მსოფლიო სავალუტო სისტემებში 1867 წლიდან დღემდე. გაანალიზებულია მისი თანამედროვე მარაგები, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, ოქროს წლიური მოპოვებები ბოლო პერიოდში და ფასების დინამიკა და ზრდის ტენდენციები, მიზეზები, რომლებიც განაპირობებს ოქროზე ფასების ზრდას.

ყურადღება გამახვილებულია ქართული ოქროს მოპოვების და გადამუშავების საკითხებზე, ასევე მის საბადოებზე და მარაგებზე. გამოკვეთილია მისი, როგორც საექსპორტო საქონლის როლი საქართველოს ეკონომიკაში, აგრეთვე ოქროს სერთიფიკატების გამოშვების და მისი შესაძლებლობების საკითხი ოქროს ბირჟის ჩამოყალიბებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

დასკვნის სახით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოქროს მარაგები და საბადოები საქართველოში ჯერ კიდევ დეტალურად არის შესასწავლი და გამოსაკვლევი, ასევე უნდა დაისახოს გზები მისი წარმოების და გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

ოქრო, როგორც ძვირფასი მეტალი კაცობრიობისათვის, პრეისტორიული დროიდან არის ცნობილი. ლამაზი ფერის, ძლიერი ელვარების, კარგი ჭედადობის, იშვიათობის გამო ოქროს უძველესი დროიდან იყენებდა ადამიანი სამკაულებისათვის და ფულის მოსაჭრელად. ოქროს ნაკეთობების შესწავლას მივყავართ შორეულ წარსულში, რამდენიმე ათასწლეულის მიღმა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ოქრო ხმარებაშია 6000 წლის წინა პერიოდიდან, ანუ უფრო ადრე ვიდრე ჩანაწერები მიუთითებს. ამრიგად, ამ ძვირფას მეტალს კაცობრიობა ენდობა ათასწლეულები და მისი მოპოვება და გამოყენება ფართოვდება დღესაც, როგორც უნივერსალური თავმდები საქონლის გაცვლისას. საკმარისია ითქვას, რომ დღეს ქვეყნის ვალუტის სიძლიერე გარკვეულწილად დამოკიდებულია მის ბანკში შენახულ ოქროს მარაგზე. თუმცა ქვეყანაში მოპოვებული ყველა ოქრო არ თავსდება ბანკის სარდაფებში, ოქროს მნიშვნელოვანი რეზერვები და წარმოება ხალხს უსაფრთხოების გრძნობას უმაღლებს.

საერთაშორისო ვაჭრობის პირველ პერიოდში, როდესაც მოდაში იყო ბარტერული გაცვლები, ოქრო გამოიყენებოდა საქონლის საყიდ-

ლად და საიმპორტოდ სხვა ქვეყნებიდან. ეს მისი სპეციფიკური კუთრი წონისგან გამომდინარეობს. სუფთა ოქროს აქვს მაღალი კუთრი წონა 19,39 გრ/სმ³. დნობის ტემპერატურა 1063⁰C. ეს კი მას ანიჭებს მნიშვნელოვან ღირებულებას. შენახული იქნეს ნაწილებად, რომლის გადატანა ადვილად შეიძლება.

ბუნებაში ოქრო თვითნაბადია ანუ გვხვდება მეტალური ფორმით და არა ნაერთების სახით. მისი დაგროვების ორი გზა არის ცნობილი: ძირეული საბადოები, სადაც ოქრო ძარღვებში გვხვდება ჩანართებისა და ჩანაწინწკლების სახით და ქვიშრობი საბადოები, რომლებიც წარმოიქმნება ძირეული საბადოების დაშლის ხარჯზე. ქვიშრობ საბადოებში ოქროს სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვს, შესაბამისად, ანსხვავებენ: თვითნაბადებს (1 გრ და მეტი წონის მსხვილი წარმონაქმნები), ქერცლებს, ოქროს ქვიშას და ოქროს მტვერს. ოქრო ქვიშრობებში, როგორც წესი, უფრო სუფთაა, ვიდრე ძირეულ საბადოებში. თვითნაბადებში ოქროს შემცველობა, საშუალოდ, 70-80%-ია, შლიხურ (განარეცხ) ოქროში კი მერყეობს 97-დან 100%-მდე.

ოქრო იშვიათი მეტალია. მისი საბადოების გამოკვლევა ძალზე ძნელია, მაშინაც კი როცა საბადო აღმოჩენილია. მეტალი ოქროს ამოკრეფა მადნიდან ძალიან რთულია და უმნიშვნელო, რაც აძვირებს მას.საქართველოს ოქროს საბადოებიდან ერთი გრამი ოქროს მისაღებად საშუალოდ ერთი ტონიდან სამ ტონამდე მადნის გადამუშავებაა საჭირო.

ოქროს მოხმარება შეუძლებელია მისი დამსხვრევის გარეშე.იგი შეიცავს თავის ფიზიკურ, ქიმიურ და ესთეტიკურ ატრიბუტებს მუდმივად (6000 წლის წინათ მოპოვებული ოქრო ჯერ კიდევ არსებობს მუზეუმებში ან კერძო კოლექციონერებთან მიწის ზედაპირზე ან ოკეანეების და ზღვების ფსკერზე).

ოქროს გამოყენების ბევრი სფერო არსებობს, თუმცა 80 პროცენტამდე მოიხმარება საიუველირო საქმეში. დანარჩენი კი სხვა დარგში. კერძოდ, სტომატოლოგიაში. სტომატოლოგიური გვირგვინები და კბილის პროტეზები მზადდება ოქროს, ნიკელის, სპილენძის, პლატინის, თუთიის შენადნობებზე, რომლებიც უთავსებენ კოროზიულ მდგრადობას მაღალ მექანიკურ თვისებებს.

ფარმაკოლოგიაში ოქროს ნაერთები შედის რამდენიმე სამედიცინო პრეპარატის შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება მთელი რიგი დაავადებების (რევმატოიდული, ართრიტი, ტუბერკულიოზი და სხვა), ასევე ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ.

თავისი ქიმიური მდგრადობით და მექანიკური სიმტკიცით ოქრო ჩამორჩება პლატინოიდებს, მაგრამ შეუცვლელია როგორც ელექტროკონტაქტი, ამიტომ მიკროელექტრონიკაში იგი გამოიყენება როგორც კონტაქტების ზედაპირის გალვანური დანაფარი. ბირთვულ კვლევებში იგი გამოიყენება სამიზნე სარკეების ზედაპირის დასაფარავად, რომლებიც მუშაობენ შორ ინფრაწითელ დიაპაზონზე. ნეიტრონულ ბომბში- როგორც სპეციალური გარსი. ოქროს რბილი შენადნობისგან დამზადებული თხელი შუასადები ხშირად იხმარება ლითონების მირჩილვისათვის, ზეძლიერ ვაკუუმის ტექნიკაში. ოქრო ასევე დიდ გამოყენებას პოულობს ლითონთა მოსაოქროებლად (უპირატესად გალვანური მეთოდით) კოროზიისგან დაცვის მიზნით.

ოქრო ასევე გამოიყენება კვების მრეწველობაში, როგორც საკვები დანამატი.

მაგრამ ოქროს ტრადიციულ და ყველაზე მსხვილ მომხმარებელს წარმოადგენს საუველირო მრეწველობა - ოქრომჭედლობა, თუმცა საიუველირო ნაწარმი არ მზადდება სუფთა ოქროსგან, არამედ მისი სხვა ლითონებთან შენადნობებისგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ ოქროსთან შედარებით მექანიკური სიმტკიცისა და მდგრადობის მიხედვით.

ოქრო ფართოდ გამოიყენებოდა სავალუტო სისტემაში.პირველ მსოფლიო სავალუტო სისტემას ეწოდებოდა პარიზის სისტემა 1867 წლიდან XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ოქროს (ოქრომონეტარული) სტანდარტისა და თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსების შემოღება მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით. ამ სისტემაში ოქრო გამოიყენებოდა როგორც საქონელი, ამიტომ ეროვნულ ვალუტას ჰქონდა ოქროშემცველობა, რომლის შესაბამისადაც დგინდებოდა მისი პარიტეტი სხვა ვალუტასთან მიმართებაში.ვალუტები თავისუფლად იცვლებოდა ოქროზე, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მსოფლიო ფულის როლი. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების პირობების ცვლილებამ და პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა კრიზისულმა რყევებმა მსოფლიო ეკონომიკაში, აგრეთვე რევოლუციებმა ზოგიერთ ქვეყანაში გამოიწვია პარიზის სავალუტო სისტემის რღვევა და გაუქმება. მის სანაცვლოდ 1922 წელს გაფორმდა გენუის სავალუტო სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა ოქროდევიზურ სტანდარტს (ოქროსთან ერთად გამოიყენებოდა დევიზები უცხოური ვალუტები. ოქროს პარიტეტი შენარჩუნდა და მცურავი სავალუტო კურსები აღსდგა.ზოგიერთი ქვეყანა (მაგ. აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) იყენებდა აგრეთვე ოქროს ზოდურ სტანდარტს.

მაგრამ გენუის სისტემამ ცოტა ხანს იარსება, რადგან 30-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, ასევე ფულად-საკრედიტო სფერო კრიზისმა მოიცვა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ბანკნოტების გაცვლა ოქროზე ხდებოდა ფაქტიურად მარტო აშშ-ში.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ გადაიქცა მსოფლიოს ზემძლავრ სახელმწიფოდ და სწორედ მისი ზეგავლენით მოხდა მსოფლიო სავალუტო სისტემების რეფორმირების პროექტის შემუშავება.

1944 წელს იურიდიულად გაფორმდა ახალი სავალუტო სისტემა ბრეტონ-ვუდსში (აშშ) და შესაბამისად ეწოდა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა. შენარჩუნდა, თუმცა შევიწროებული მასშტაბით ოქროდევიზური სისტემა. ოქრო გამოიყენებოდა სხვადასხვა ფორმით.აშშ-ის ვალუტის გადაცვლა ოქროზე შეეძლო მარტო ცენტრალურ ბანკებს, ოქრო ასევე შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო საერთაშორისო საგადამხდელო და სარეზერვო საშუალებად..

1960 წლიდან მაღალმა ინფლაციამ შეუძლებელი გახადა დოლარის ოქროსთან მიბმა თავდაპირველ დონეზე. სიტუაციას ართულებდა საგარეო სავაჭრო დეფიციტი. ოქროს საბაზისო ფასი გაცილებით მაღალი გახდა ოფიციალურად დადგენილთან შედარებით. აღნიშნულმა სისტემამ მთელი რიგი ფაქტორების გამო არსებობა შეწყვიტა 1976 წელს. მის შემდეგ იამაიკის ქალაქ კინგსტონში 1976 წელს შემოღებული იქნა მცურავი კურსების ე.წ. იამაიკური სავალუტო სისტემა, რაც ნიშნავდა იმას, რომ დოლარი აღარ იქნებოდა ოქროთი უზრუნველყოფილი და ეს ფუნქცია დაეკისრებოდა აშშ-ის საგადასახადო ვალდებულებებს. ამ პირობებში ოქრო გადაიქცა განსაკუთრებულ საინვესტიციო საქონლად. ხალი სისტემით გაუქმდა ოქროს სტანდარტის ფუნქცია და მსოფლიო ფულის სახით წარმოჩნდა ეროვნული ვალუტები. ოქროდევიზური სტანდარტის ნაცვლად კოლექტიურ სარეზერვო ვალუტად დადგინდა "ნასესხობის სპეციალური უფლებები. (SDR-Special Drowing Rights), რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ანგარიშზე საერთაშორისო აქტივებს ნიშნავს. ოქრომ ფულის ფუნქციები დაკარგა, მისი პარიტეტიც მოიხსნა. და სსფ-ის ზედამხედველობით სავალუტო კურსის სისტემის თავისუფალი არჩევნების პრინციპი დამკვიდრდა. ამის საფუძველზე რიგმა ქვეყნებმა სავალუტო კურსები დოლართან, ფრანგულ ფრანკთან ან სხვა ვალუტებთან დააკავშირეს, სხვებმა "ნასესხობის სპეციალურ უფლებებთან, ზოგმა კი სხვა ვალუტების "კალათასთან". 2002 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებმა შემოიღეს ევრო ნაღდი ანგარიშსწორებისათვის და ეროვნულმა ვალუტებმა არსებობა შეწყვიტა (ეროვნული ვალუტა შეინარჩუნა ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ-ინგლისმა). ახლო მომავალში მსოფლიო სავალუტო სისტემა დაკავშირებული იქნება დოლარის და ევროს როგორც ორი ალტერნატიული მსოფლიო ვალუტის თანაარსებობაზე. თუმცა ოქრო აღარ ფიგურირებს მსოფლიო სავალუტო სისტემაში სტანდარტის სახით, მაგრამ ეკონომიკაში იგი თავის ადგილს და მნიშვნელობას არ კარგავს. იგი კვლავ რჩება სიმდიდრის წყაროდ, დაგროვების საშუალებად, ფუფუნების საგნად და ეროვნული ვალუტის სიმტკიცის გარანტად. მას მრავალგვარი სიმბოლური და იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს. ოქრო ინვესტორებისათვის გამოდის რამდენიმე ფორმით-ოქროს ზოდები, ოქროს მონეტები, ოქროს ქვიშა.

მსოფლიოში ოქროს სერტიფიკატების გამოშვების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირება ოქროს მონეტიზაციის გზით, რაც გულისხმობს მოსახლეობის წახალისებას ოქრო შეინახონ ბანკებში და ამისათვის მიიღონ გარკვეული სარგებელი. ასეთი პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, განსაკუთრებით კი საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას. 1882-1934 წლებში აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო უშვებდა ბანკში დეპორტირებულ ოქროს სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს მფლობელის უფლებას მის საკუთრებაში არსებულ ოქროზე. რუსეთში ამ საქმეს (სერტიფიკატების გამოშვებას) საფუძველი ჩაეყარა 1993-94 წლებში, რომელიც გარანტირებული იყო მთავრობის მიერ და მათთან მიღებული შემოსავალი გამოიყენებოდა ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად. ოქროს სერთიფიკატებით ვაჭრობა დღესაც მიმდინარეობს მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოშიც. ოქროს ბირჟას განვითარების ხელშეწყობის მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ოქროს სერთიფიკატებით ვაჭრობის წესები და ამოქმედდა 2012 წლის I თებერვლიდან. ნებისმიერ პირს შეუძლია ეროვნული ბანკიდან შეიძინოს ოქროს სერთიფიკატი მხოლოდ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან. მიზეზი იმისა, რატომ ვერ განვითარდა ოქროს ბირჟა საქართველოში, უნდა ვეძებოთ ეროვნული ბანკის მიერ ოქროს სერთიფიკატებით ვაჭრობის დადგენილ წესებსა და პროცედურებში.

ოქროს ფასები საერთო ჯამში ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 1974 წელს მისი ფასი (ერთი უნცია-საშუალოდ 31 გრ.) იყო 195 აშშ-ის დოლარი, 1980 წ-850 დოლარი, 2008 წელს 1000 დოლართან ზღვარს გადასცდა. 2009 წელს ოქროს ფასი მერყეობდა 1060-1070 დოლარის ფარგლებში. 2010 წელს-1228, 2011-1672, 2012-1673, ხოლო 2012-1400. მაგრამ ექსპერტების ვარაუდით ოქროს

ფასები მომავალში კვლავ გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი შემცვლელიც არსებობს-ვერცხლი, პლატინა და პალადუმი ოქროს მსგავსად ვერცხლსაც გააჩნია გამოყენების ხანგრძლივი ისტორია, თუმცა მისი მარაგები 2005 წლისათვის შეფასებული იყო 1134 ტონად, მისი კუთრი წონა დაბალია (მხოლოდ 11 გრ/სმ³) რაც შეეხება პლატინას,ის შედარებით ახალი ლითონია და ხალხი არ არის მიჩვეული მის გამოყენებას. აღსანიშნავი ფაქტია, რომ 1792 წელს ერთი უნცია ოქროს ღირებულება შეადგენდა 19,3 დოლარს, ხოლო 1834 წელს 20,67 დოლარს. ოქრო პრაქტიკულად არ დაკარგულა ისტორიული კატაკლიზმების პროცესში, არამედ გროვდებოდა და ხდებოდა მისი გადადნობა.2009 წლის მონაცემებით კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სულ 165000 ტონა ოქრო იქნა დაფლული.

სავალუტო მონეტები წარმოადგენს ინვესტირების საუკეთესო საშუალებას. 1 გრ ოქროს ფასი მონეტებში ზოგჯერ უფრო მაღალია ვიდრე იგივესი ზოდებში (დაახლოებით 20-30 %-ით), მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ზოდების ყიდვისას იხდიან დღგ-ს და ბანკის პროცენტებს ამის გარდა ოქროს ფასების დინამიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდიკატორს, რომელიც შეიძლება შეფასდეს ინვესტორების რისკისკენ მიდრეკილება.

პოტენციური ინვესტორები ოქროს განიხილავენ როგორც არამყარი ვალუტის ყველაზე საიმედო და საუკეთესო ალტერნატივას. 2010 წლის 8 ნოემბერს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი წერდა, რომ მსოფლიო შეიძლება "ოქროს სტანდარტს,, დაუბრუნდეს, რაც სავალუტო ბაზრის სტაბილიზაციასთან მიგვიყვანს, სადაც ჩართული იქნება დოლარი, ევრო, იენი, ფუნტი სტერლინგი და იუენი. ამ სისტემამ უნდა აღიაროს ოქრო, როგორც საერთაშორისო სტანდარტი და სარეზერვო ვალუტა, რომელიც იქნება ინფლაციის დონის მაჩვენებელი ბაზარზე.

მაინც რამდენი ოქრო გააჩნია მსოფლიოს? 2013 წლის მონაცემებით:აშშ ფლობს დაძიებულ 3000 ტ ოქროს მარაგს, ავსტრალია 9900 ტ, ბრაზილია 2400 ტ, ჩილე 3900 ტ, ჩინეთი 1900 ტ. ინდონეზია 3000, სამხრეთ აფრიკა 6000ტ, რუსეთი 6000, განა-2000ტ, დანარჩენი ქვეყნები-16900 ტ. მსოფლიო კი-54000ტ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1994 წლისათვის სარეზერვო ბანკის შეფასებით მსოფლიოს ოქროს მარაგები 128000 ტონის ტოლი იყო. შხვა მონაცემებით დღეს ოქროს მსოფლიო მარაგები 100 ათას ტონას შეადგენს.

რაც შეეხება ოქროს წლიურ მოპოვებებს (ტონებში), მდგომარეობა ასე გამოიყურება (ცხრილი 1).

ცხრილი 1.
ოქროს წლიური მოპოვება და მარაგები ტონებში

ქვეყნები	წლები		
	2006	2012	2013
სამხრეთ აფრიკა	272	160	145
აშშ	252	235	227
ჩინეთი	248	403	420
ავსტრალია	227	235	255
პერუ	203	-	-
რუსეთი	159	218	220
სხვა ქვეყნები	979	1439	1503
სულ მსოფლიოში	2360	2690	2770

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში ოქროს მოპოვების მოცულობის მხრივ ლიდერობს ჩინეთი, თუმცა მისი მარაგი ბევრი ქვეყნის მარაგს ჩამორჩება.

რა როლს თამაშობს ოქრო საქართველოს ეკონომიკაში? დავიწყოთ იქიდან, რომ ძვ.წ. III საუკუნის პოეტი აპოლონიუს როდოსელი თავის ეპოსში არგონავტების შესახებ, კოლხეთს მოიხსენიებს ოქრომრავალ ქვეყნად. იაზონი და 50 არგონავტი ხომ ძვ. წ. მე-13 საუკუნეში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ჩამოვიდნენ საქართველოს ძირძველ კუთხეში. სტრაბონის აზრით სვანეთში მდინარეებს ჩამოჰქონდათ ოქრო რასაც სვანები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგროვებდნენ, აქედან გავრცელდა მითი ოქროს საწმისის შესახებ.

თითქმის ამ ამბავს ეხმაურება გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქნი ელენე აბაშიძე გაზეთ "განმათავისუფლებელში", (2007 წლის აპრილი №13) გამოქვეყნებულ სტატიაში. სადაც ის წერს, "საქართველოში მარტო ოქრო რომ ავიღოთ, დაწყებული პატარა მდინარე გლდანულადან ენგურამდე, თითქმის ყველა მდინარე შეიცავს ოქროს. ორი საუკუნის მანძილზე, ეკატერინე მეორიდან მოყოლებული, თითქმის ყველა ოჯახს სვანეთში წელიწადში 8 გრამი ოქრო უნდა მოეპოვებინა და ხარკის სახით მიეწოდებინა მოსკოვისათვის".

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ფერადი და შავი მეტალურგიის მძლავრ კერებთან ერთად კეთილშობილი ლითონების საწარმოო კერებიც გვხვდება, სადაც შემორჩენილია გარკვეული დანიშნულების სხმული და სხვადასხვა შემცველობის ზოდები. ეს კი დასტურია, იმისა, რომ აქაური ოქრომჭედლები ოქროს ნედლეულს ამუშავებდნენ როგორც კარკვეული საბადოებიდან მოპოვებული ოქროს, ასევე ქვიშრობი საბადოებიდან მოპოვებულ ხალას მასას.

ქართულ ეკონომიკაში ოქროს წარმოების მიერ შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია. დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული ოქრო

საქართველოს ექსპორტის უმსხვილეს სასაქონლო პორთფელში ბოლო წლებში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. თუ 2004 წლისათვის ექსპორტი შეადგენდა (მლნ აშშ დოლარი):18, 830, 20005 წელს-34,743, 2006-49,371, 2008-100,111; 2009-116,189; 2010-85,788; 2011-110 მლნ.

ამჟამად ოქროს წილი საქართველოს ექსპორტში 4-5%-ს შეადგენს.

საქართველოში ოქროს ყველაზე დიდი მოცულობა ბოლნისის რაიონზე მოდის.

ჩვენთან ოქროს და ვერცხლის ორი სახის საბადოა - საკუთრივ ოქროს და ვერცხლის და კომპლექსური - სხვა წიაღისეულთან ერთად. ასეთია მადნეულის, კვაისის, საყდრისის, მერისის, ზოფხითო-ჩვეშუნის საბადოები. ამჟამად ექსპლუატაციაშია მადნეულის საბადო, რომლის ბაზაზე მუშაობს კომპანია RMG GOLD და რომელიც წლიურად 2 ტ ოქროს აწარმოებს დორე შენადნობის სახით.

საქართველოს ოქროს მარაგი ამჟამად, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 300 ტონამდეა.

დასკვნა

რბილი და ძლიერ პლასტიკური, ლითონი,თავისი კაშკაშა ფერით და ელვარებით, კარგი ჭედადობით და წელვადობით, კოროზიისადმი მედეგობით ჰაერსა თუ წყალში, ოქრო მიჩნეულია სიმდიდრის სიმბოლოდ და დაგროვების ობიექტად. ერთგვაროვნებით, გაყოფადობით, პორტატულობით (მცირე მასა და მოცულობა) და დიდი ღირებულებით ოქრო გარკვეულწილად განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის საფუძვლებს. ოქროს ფასი, როგორც წესი, იზრდება ეკონომიკური კრიზისების დროს. ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ოქროს ფასი ახლო მომავალში კვლავ გააგრძელებს ზრდას. ამიტომ ინვესტორები და, ზოგადად მოსახლეობა ცდილობენ საკუთარი დანაზოგები განათავსონ უფრო მყარ ძვირფას ლითონში - ოქროში. აქედან გამომდინარე, მისი საბადოების დამუშავება უნდა მოხდეს მინიმალური დანაკარგებით და გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი , 2012, 308 გვ.
2. მ. მაჭარაშვილი, საქართველოში ოქროს მოპოვების დარგში არსებული პრობლემები. www. Ge. /view.php?fonid
3. ოქროს წარმოება საქართველოში. https: /www google.ge gws_rd
4. გ.ტაბატაძე, ნ. ფოფორაძე, ხ. გაჩეჩილაძე, ბ. კახაძე. ოქროზე მსოფლიო ფასების ზრდის დინამიკის მოკლე ანალიზი და პროგნოზები, სამთო ჟურნალი №2(27). 2011. გვ. 92-94
5. ნ. ფოფორაძე. მინერალოგია. საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2008. 216 გვ.
6. ჯანმრთელობისათვის საშიში ოქრო / liberali ge/ge/liberal/ articles/105762
7. Международные экономические отношения под редакций В.Е. Рыбалкина, Москва, 2006 стр. 577
8. Kaulin Kisor Chatterjee, Lectures and Thoughts on Mineral Economics, Nova Science Publishers, lnc. New York, 2010. P
9. U.S. Geological Survay. Mineral Commodity Summaries, February 2014 minerals. Usgs. Gov/minerals/pubs/commodity/gold/Mcs.214.gold.pd

GOLD AND ECONOMICS

G. TABATADZE, KH. GACHECHILADZE, KH. VEPCHVADZE

gordatab@mail.ru

Summary

In this work there is reviewed the gold as a precious and noble metal, its special mineral characteristics, which makes its great application in various sphere of economics, especially in jeweler"s production, in current, and in historic period. It is characterised the gold"s role in world currency systems from 1867 year till this time, analysed gold"s resources in the world and in some countries, annual extractions in current period as well as prices increases dynamics and reasons, which have an influence on the prices.

The significant attention is attracted to the questions of extraction and processes of Georgian gold its deposits and reserves, outlined its role in Georgian economies as an export product, and questions of certificate issue and its possibility for forming the gold exchange in Georgia.

As a conclusion it is said that gold"s resources and deposits in Georgia reed to be explored in detail and plan the ways for rising efficiency of its extraction and utilization with taking into consideration the principles of environmental protection and steady development.

Key words: Gold; The Monetary system; Deposit; Reserves: Extraction; Price; Sertificate.